№ 66 მარტი 29, სამშაბათი 1888 მარტი 29, სამშაბათი № 66

# ივერია

გაზეთი ღირს

| თთვე | მან. | კ. | თთვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 70 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ ბებუთოვის ქუჩ., სახლი № 9, ბ-ნ ხიდდიკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1888 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877 1888

ოზურგეთის მაზრის თა[ვა]დ-აზნაურთა წინამძღოლი[ს] ნავაშიძეს, პატივი აქვს აცბობოს ოზურგეთის მაზრის თავად-აზნაურთა, რომ [აპ]რილის 17-ს ამ 1888 წ. ოზურგეთს დანიშნულია [თ]ავად-აზნაურთა სამაზრო [კ]რება, რომელსაც საგნადა [ა]ქვს მოსამზადებელი განკარგულებანი ქუთაისის საგუბერნიო თავად-აზნაურთა [კ]რებისათვის. (3—3)

ტფილისი, 28 მარტი

ძალიან ამბებიან ამ ბოლოს დროს [ევ]როპაში და, ჩვენის ფიქრით, [ფ]რიად საყურადღებონიც, როგორც ნიშანნი დროებისა. სამს [დი]დს სახელმწიფოს, საფრანგეთს, [ინგ]ლისს, გერმანიას თითქო დაე[ნება]თ თვალი გარედ ყურებითა, თქო გარედამ და გარედ აღა[რა]ფერი არ აწუხებთ, თითქოს სო[ქმ]ები ისე მოეწყო და დაჭლაგდა, [რო]მ სახელმწიფომ თავისი აქამდე [გ]ართოტებული და სამტროდ [გამოშ]ყურებელი თვალი თავის შინაო[ბა]ზედ მიაქციოს მშვიდობიანად [და] უვლად უშიშარად.

საფრანგეთში გამოიცვალა სამინისტრო. მთავარ-მინისტრი ტირარი იძულებულ გაჭხდა გადამდგარიყო მთელის თავის სამინისტროთი. მართალია, დღევრძელობა ამ სამინისტროსი პირველ დღიდგანვე არავისა სწამდა და იმის გადაყენებას დღე-დღეზედ მოელოდნენ. ხოლო საყურადღებო აქ ის არის თუ—რა საგანზედ მოასხლეტინა საფრანგეთმა ამ სამინისტროს თავისი უამისოდაც მოუმაგრებელი ფეხი. ბულანჟეს მომხრე დეპუტატმა პალატისამ ლაგერმა სარჩიელი შეიტანა პალატაში, რომ აწ არსებული კონსტიტუცია, მართველობის წესწყობილება შეცვლილ უნდა იქმნასო და ითხოვა დაუყოვნებლად გარჩევა ამ სარჩიელისა. სამინისტრომ ეს დაუყოვნებლობა იუარა და გამოაცხადა, რომ თუ პალატა შეიწყნარებს ლაგერის სარჩიელსა, სამინისტრო იძულებულ იქმნება სამსახურს თავი დაანებოს და სხვა კაცებს დაუთმოს გამგეობა საფრანგეთისა. პალატა ამ მუქარას არ შეუშინდა, სარჩიელი ლაგერისა შეიწყნარა და სამინისტრომაც თავისი [illegible] შეასრულა, აიღო და გადადგა.

ამ სახით საფრანგეთის პალატამ აღიარა საჭიროება და დაუყოვნებლობა კონსტიტუციის ხელ-ახლად გადასინჯვისა და შეცვლისა. აზრი კონსტიტუციის ხელ-ახლად გასინჯვისა და შეცვლასა კარგა ხანია ჰქტრიალებდა საფრანგეთში, ხოლო საფრანგეთი,—საგარეო საქმეთა გამო, თუ სხვა რაიმე მიზეზითა,—ვერა ჰბედავდა დღეს აქამომდე მაგ აზრისათვის გზა გაეხსნა. რაკი ეხლა მაგ აზრს გზა მისცა, უნდა ვიფიქროთ, რომ საფრანგეთს გული დამშვიდებული აქვს და საგარეო საქმეების მდგომარეობა ნებას აძლევს დიდს და ძნელს საქმეს კონსტიტუციის გადასინჯვისას შეუდგეს. ეს-კია, რომ ბევრს არა სჯერა, ვითომ საქმეთა მდგომარეობამ ნება მისცეს საფრანგეთს მაგ რთულს და მძიმე შინაურს საქმეს ხელი მოჰკიდოს. ამბობენ, ეგ მარტო საბაბად დაიხვია ხელზედ პალატამაო, რომ ტირარს ადგილი დააცლევინოს და ფლოკეს სამინისტროს დააჭერინოს ეგ დაცლილი ადგილიო. ასეა თუ ისე, მაინც შესანიშნავია ეს ამბავი საფრანგეთისათვის იმ მხრით, რომ ამისთანა აწეწილს დროს მაგ საგანზედ წამოაკვრევინა ფეხი ყოფილს სამინისტროს.

ინგლისი უფრო ცხადად, გადაწყვეტილად და გაბედულად დაუბრუნდა თავის შინაურს საქმეს. სალუსბერის სამინისტრომ შეიტანა პალატაში ერთი იმისთანა რადიკალური კანონ-პროექტი შესახებ ადგილობრივის თვით-მართველობისა, რომ ქვეყანას უკვირს და მართლადაც საკვირველია, ნამეტნავად თუ სახეში ვიქონიებთ, რომ კონსერვატორების სამინისტრომ ითავა ეს მართლა-და დიდი და უზარმაზარი საქმე. ამ პროექტით ადგილობრივ თვით-მართველობას დიდი მოედანი უკეთდება, ყოველ გვარი ღონის-ძიება ეძლევა ადგილობრივს საჭიროებას დაუბრკოლებლად გაუძღვეს და ამ სფერაში არავისაგან არარა დაშლა არა ჰქონდეს. წარმოიდგინეთ, დედათა სქესსაც-კი მიენიჭა ამ პროექტით უფლება მონაწილეობა მიიღოს ადგილობრივ საქმეთა წარმოებაში. ეს კანონ-პროექტი ისეთი კარგი რამ არის, რომ თვით სალუსბერის სამინისტროს მოპირისპირენიც-კი ქებას უთვლიან ამ პროექტის მოთავეებს და ჰპირდებიან მომხრეობას.

ამავე დროს გერმანიაც აწყობს და ალაგებს თავის შინაურს საქმეებს. იმპერატორმა ფრიდრიხმა უკვე წარმოსთქვა ტახტზედ ასვლის უმალვე თავისი აზრი შინაურ საქმეთა შესახებ. სახელოვანს მანიფესტში და უფრო სახელოვანს რესკრიპტში თ. ბისმარკის სახელზედ მან ცხადად აუწყა ქვეყანას, რომ მე კონსტიტუციისა და კანონების თანხმად მსურს ვიმეფოვო. ეს სიტყვები ცარიელი ქადილი არ გამოდგა, როგორც ბევრს ეგონა.

გერმანიაში თ. ბისმარკის და განსვენებულ იმპერატორის მეოხებით დღეს აქამომდე ისეთი წესი [იყო, რ]ომ [თ]ვითოეული ცალკე მინი[სტრი] პასუხის-მგებელი იყო მარტო იმ საქმეების გამო, რომელიც ჰქონდა მინდობილი. ამ წესის გამო რაც უნდა მოეხდინა ცალკე მინისტრს, სხვანი ყურსაც არ იბერტყავდნენ და ამიტომაც მინისტრი გერმანიისა უფრო ხელქვეითი იყო თ. ბისმარკისა, მისის ნების აღმასრულებელი, ვიდრე მთელის სამინისტროს წევრი, რომელიც ვალდებული უნდა ჰყოფილიყო ცალკე, სხვათა მინისტრთა დაუკითხავად არ ესაქმა. ესეთის გარემოების გამო ყოველი ცალკე მინისტრი დამორჩილებული ჰყავნდა თ. ბისმარკსა, რომლის თვით-ნებობაზედ იყო დამოკიდებული დარჩენა და განდევნა თვითვეულის ცალკე მინისტრისა. ამ სფერაში თ. ბისმარკი თითქმის თავისუფალი ბატონი იყო და პარლამენტი-კი გერმანიისა ჰდუმილებდა. ამიტომაც გამოცვლა ერთის მინისტრისა და იმის ადგილას ჩაყენება მეორისა დანარჩენს მინისტრებს არც სციოდათ, არც სცხელოდათ: იმათთვის სულ ერთი იყო, ვის დასვამდა თ. ბისმარკი მინისტრად.

ეხლა-კი იმპერატორს ფრიდრიხს უბძანებია, რომ მთელი სამინისტრო ერთიანად პასუხის-მგებელი იყოს როგორც შინაურთა, ისე საგარეოთა საქმეთა გამო. ამისათვის შეუქმნია ეგრედ წოდებუ-

## ფელეტონი

### უცნაური მუხუდო

მოთხრობა

XII*)

[მ]ემდეგს კვირა დღესაც დილით [ად]რე სოფო გამოემგზავრა დის სახ[ლი]საკენ სანდროს სანახავად და გა[მო]სათხოვებლად. გამოთხოვება მე[ტა]დ ემძიმებოდა; ორის თთვის გან[შო]რების მოლოდინი საშინელს ტანჯვას უქადიდა, მაგრამ სანდროს [უკ]ანასკნელი სიტყვა», ცოლად შერ[თვ]ის პირობა ერთობ ანუგეშებდა, [აშო]რებდა ყოველ გვარ მოსაწყენსა [და] უსიამოვნო ფიქრებს. კიდევ ეს [იყ]ო მიზეზი, რომ მაინცა-და-მაინც [ჩვე]ულად, შეუშფოთებლივ მოისმი[ნა] სანდროსაგან დროებით განშო[რე]ბის მოახლოვებულ ვადაზედ საუ[ბა]რი.

[და]დის სახლის ეზოში, სხვა დროს[თა]ნ შედარებით, ამ დილით სოფომ [უფ]რო გაბედვით, უფრო თამამად [შე]მოდგა ფეხი. სხვა დროს თითქო [ეზ]ოც ეუცხოვებოდა, თითქო მუხ[უდ]ოც უკანკალებდა, თითქო მწუ[ხარ]ე ფიქრები და რაღაც უიმედობის [გრძნ]ობები ჰხვდებოდა აქ მოსვლის დროს,—ეხლა-კი... იმედმა, იმედმა და მხოლოდ იმედმა დაჰქროლა ყოველის მხრივ, მხოლოდ სიხარულს მოასწავებდა ყველა აქაური საგანი. თვით სარკმლის ჩარჩოც-კი, საიდამაც სანდრო გამოიცქირებოდა ხოლმე, თვით აივანი, სადაც სანდრო გამოდიოდა, და ამ აივნის სვეტებიც-კი,—ყველაფერი ამ დილით სოფოს თვალში თითქო მხიარულობდა, რაღაც სიამოვნებით სტკბებოდა, ერთის სიტყვით, სულ სხვა გვარად გარდაცვლილიყო.

სოფო ავიდა დის სადგომში და აქედამ გადაჰხედა თავის საყვარელს სარკმელს,—იმ სარკმელს, საიდგანაც ცოტა ხანს შემდეგ სანდრო უნდა გამოჩენილიყო.

—ეხლა ხომ ჩემია—ჰფიქრობდა თავის გულში სოფო ამ დროს,—ხომ ველარავის შეუძლიან აღმიკრძალოს იმისკენ ცქერა, ხომ აქედამ შემიძლიან გავეძრახო, ხომ შემიძლიან კიდეც, ჩემთან მოვიწვიო... მაგრამ... ვინ რა იცის, რომ ეხლა ჩემია, მე ვის და როდის გავუზიარე ჩვენი საიდუმლო, რომ სხვამაც იცოდეს რამე? ოჰ! თუნდაც რომ მინდოდეს, ხომ ვერ შემიძლიან სხვას გავუზიარო, ხომ ვერავის შევატყობინებ ჩემს სიხარულს?! დაღონებით და უსიამოვნოდ გაათავა სოფომ.

სანდრომ ცოტა შეიგვიანა; ალბად სოფოს მოსვლა ჯერ ეადრევებოდა. სოფოს-კი ეს მოგვიანება ცოტა არ იყო სწყინდა; გუნებაში სანდროს კიდეც ურისხდებოდა, მაგრამ ეს რისხვა რისხვას არ ჰგავნდა: ვითომ უნებივრდებოდა თავისად მიჩნეულს სანდროსა.

— ჰხედავ, როგორ იგვიანებს სარკმელთან მობძანებას,—ამბობდა თავისთვის სოფო სწორედ იმ კილოთი, როგორითაც მეტის-მეტად განებივრებული ოთხი-ხუთის წლის ბავშვი უსაყვედურებს ხოლმე თავის დედას, რატომ აქა-და-აქ არ გამასეირნებ, ან რატომ ამა-და-ამ ხილს არ მომართმევ ამ წუთსაო—მოიცადე, ამას არ შეგარჩენ, უეჭველად დაგსჯი, არ გაპატიებო.

რითი უნდა დაესაჯა სანდრო, თვითონაც არ იცოდა სოფომ, მაგრამ ან რა საჭირო იყო ამისი ცოდნა?

სანდრომ სარკმელთან მოსვლა და გამოხედვა ძალიან აღარ დაახანა. თვალი შეასწრო თუ არა სოფომ სანდროს, ჩვეულებისამებრ, დიდს სიხარულს მიეცა და, სიამოვნების ნიშნად, დაუწყო თამაშობა წითელს ვარდს, რომელიც ამ დროს ხელში ეჭირა: ხან ნესტოებზედ მიიდებდა, ხან ტუჩებთან მიიტანდა, თითქო ამით სანდროსათვის უნდოდა ეთქვა: შენს მაგივრად ამ ვარდსა ვკოცნიო.

გაიარა კიდევ ნახევარმა საათმა და ორივ მოტრფიალენი იმავე კიბის ასასვლელში სურვილისამებრ ერთმანეთს შეჰხვდნენ. ჯერ ისევ ადრე იყო და უიმისოდაც მიჩუმებულს ეზოში იმათი გავლა-გამოვლა მაგრე რიგად არავინ არ შეავიწროებდა, არ შეაწუხებდა; თვით ყველა-მხრივ შემოზღუდული, თითქო განგებ განმარტოვებული და მიფარ-მოფარებული კიბის ასასვლელი მოარშიყეთ ხელს უწყობდა და ნებას აძლევდა, რომ თავისუფლად მოქცეულიყვნენ და მოურიდებლივ გარდაეცათ, განეზიარათ ერთმანეთისათვის თავის გულის ხვაშიადი და გრძნობანი.

— აბა, რას იტყვით, ეს უკანასკნელი ჩვენი ნახვაა მარიამობისთვის პირველამდე, მალე აპირებთ წასვლას? ჰკითხა სოფომ პირველ მისვლისათანავე, სანამ ხელს ჩამოართმევდა.

— მგონია, უპასუხა სანდრომ.

— როგორ, როდის მიდიხართ?

— ან ოთხშაბათს, ან ხუთშაბათს.

— ასე მალე გითავდებათ ეგზამენები?

სანდრო შეყოყმანდა, მალე ვერ მიუგო პასუხი: ემჩნეოდა, რომ ნამდვილის თქმა ეძნელებოდა.

— ჰო... მხოლოდ ყველას არა, მარტო ჩვენს კლასში თავდება ასე მალე.

საქმე ის არის, რომ პირველს ორს ეგზამენში სანდრო გაიჭრა და ამის გამო მარიამობისთვის დამლევს მეორედ გამოცდა დაენიშნა. ამის შემდეგ, რაკი ტფილისში საქმე აღარა ჰქონდა-რა, სოფელში წასვლაც დააშურა. ხელ-მეორედ გამოცდა სანდროს მეტადა სწყინდა და ეთაკილებოდა: ეს პირველი შემთხვევა იყო, რომ სწავლაში წაიბორძიკა, უკან ჩამორჩა. ამ ჩამორჩომის მიზეზსაც ნათლადა ჰხედავდა, ჰხედავდა, რომ სოფოს აყოლამ მეცადინეობაზედ ძლიერ აუცრუვა გული; ჰხედავდა, რომ დღითი-დღე მასწავლებელნი იმაზედ გულს იყრიდნენ, აღარად აგდებდნენ. ეს გარემოება სანდროს მეტად გულს უთუთქავდა, მაგრამ ამასთან იმასაცა ჰგრძნობდა, რომ სოფოს სიყვარულის გამო ხელ-ფეხი სრულიად შეკრული ჰქონდა და ამიტომ სწავლაში სიზარმაცეს და დაუდევრობას ვერა ღონის-ძიებით ველარ გაექცეოდა.

— მაშ მიხვალ, აღარ იშლი? განუმეორა ისევ სოფომ.

— მივალ, მაგრამ ვეცდები-კი, რომ მარიამობისთვის პირველს რიცხვებში დავბრუნდე.

— მაშ მხოლოდ თიბათვე და მკათათვე მოგიხდება სოფელში ყოფნა?

— სწორედ, სრული ორი თთვე.

— ამ დროს განმავლობაში დარდისაგან უთქვენოდ სრულიად დავდნები.

*) იხ. „ივერია" №№ 51, 52, 55, 56, [5]7, 63 და 64.

ლი «სამეფო საბჭო», სადაც თვითეული მინისტრი თანასწორი წევრია ყველასი. რაც მძიმე და დიდი საქმე აღმოჩნდება—შინაური თუ საგარეო, ერთისა თუ მეორის მინისტრის კუთვნილი,—საერთოდ ყველა მინისტრებმა ერთად უნდა გასინჯონ და ერთად უნდა განაგონ. თვით იმპერატორია თავ-მჯდომარე ამ საბჭოსი. ამ სახით დღეის ამას იქით პასუხის-გება დაედება მთელს კრებულს მინისტრებისას ერთად, ვისიც კუთვნილი საქმეც გინდა იყოს.

ეს ამბავი ვერაფრად მოსწონებია თ. ბისმარკს, რომლის თვითნებობასაც ამით ფრთა ეკვეცება, მაგრამ მაინც დაჭმორჩილებია და როცა სამეფო საბჭოს პირველი კრება ჰქონია, ამ საბჭოსათვის ვრცლად მოუხსენებია დღევანდელ საგარეო საქმეთა ვითარება. იმპერატორი ფრიდრიხი კმაყოფილი დარჩენილა ამ მოხსენებისა.

ამ სახით ერთი დიდი ნაწილი იმპერატორ ფრიდრიხის მანიფესტისა და რესკრიპტისა განხორციელებულ იქმნა და ამით დღეის ამას იქით ფეხ-მოკიდებულად უნდა ჩაითვალოს პასუხის-მგებლობა მთელის სამინისტროსი გერმანიის პარლამენტის წინაშე და თვით სამინისტროც პარლამენტის აზრის დენას და სვლას უნდა შეერჩიოს ხოლმე.

საშიშარს რასმეს რომ მოელოდდეს ევროპა, არც საფრანგეთი [illegible] კონსტიტუციის ხელ-ახლად გადასინჯვის ტკივილსა, არც ინგლისი შეუდგებოდა ხსენებულს დიდს საქმეს თვით-მართველობისას და არც გერმანია—პარლამენტის გზაზედ დადგომას. სჩანს, გარეთა საქმეთა მდგომარეობა ყოველ ამის ნებას იძლევა და ნუ თუ ეს დროთა ნიშანი არ არის?

## ახალი ამბავი

*** გუშინ დაასაფლავეს კალოუბნის ეკკლესიის გალავანში დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი, ვასილ გრიგოლის ძე სარაჯიშვილი, რომელიც უეცრივ გარდაიცვალა წარსულს ხუთშაბათს საღამოს ინგლისის კლუბში. განსვენებულმა სწავლა გაათავა პეტერბურგის უნივერსიტეტში იმ დროს, როცა უნივერსიტეტში ნასწავლნი თითო-ოროლანი ძლივს იყვნენ ჩვენში. სამსახურში შევიდა 1850 წელს. პირველად მსახურებდა სწავლა-განათლების მზრუნველის კანცელარიაში. ოთხის წლის შემდეგ დაანება ამ სამსახურს თავი და დაინიშნა ქარ-ბელაქნის ოლქის უფროსის ხელქვეითად განსაკუთრებულ მინდობილობათა მოხელედ. 1859 წელს გაამწესეს კანცელარიის მმართველად ქარბელაქანშივე. ამ წელს განსვენებულს უკვე კოლეჟსკი ასესორის ჩინი ჰქონდა და უმაღლესად ებოძა აგრეთვე ორდენი წმ. სტანისლავის მეორე ხარისხისა. 1860 წელს გადავიდა დაღისტანში და იქა მსახურებდა თითქმის 20 წლის განმავალობაში. 1880 წლიდამ მთავარ-მმართებლის კანცელარიის მოხელედ ირიცხებოდა და სხვა-და-სხვა ფრიად საყურადღებო საქმეებში იღებდა მონაწილეობას. განსვენებული იყო მეტად პატიოსანი და კარგის გულის-კაცი, უწყინარი და მშვიდობიანი.

*** 20 მარტს ქართულ თეატრში კონცერტი გაიმართა ბ-ნ ალნიაშვილის ხოროს მიერ. ქართული ხმები დიდად მოეწონა საზოგადოებას. ევროპიულ ხმებში თითო-ოროლამ სასიამოვნოდ იმოქმედა. «ნეტავი, გოგო» და «მუმლი მუხასა» სთქვეს ისე, როგორც თვით ხალხი ამბობს და ამიტომ თითქმის უნაკლულოდ შეასრულა ხორომ ეს ორივ ჩინებული ხმა. რაიცა შეეხება ჩვენის პოეტის გრიგოლ ორბელიანის «სადღეგრძელოს» პოემის მღერასა და დასურათიანებას, უნდა ვსთქვათ, რომ ეს მეტად ბედნიერი აზრი მოჰსვლია ბ-ნ ალნიაშვილს. მხედარნი მღერიან და უკანასკნელის ბრძოლის წინ იგონებენ დიდებულთა გმირთა, რომელთ აჩრდილიც რიგ-რიგად გამოდის სცენაზედ. აჩრდილს ელაპარაკებიან ორბელიანის ლექსებით და შემდეგ ხორო ყოველსავე ლექსს აბოლოვებს სიმღერითა. ამ სახით, სცენაზე გამოიყვანეს ფარნაოზ მეფე, მირიანი, ვახტანგ გორგასლანი, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე და სხვანი. შთაბეჭდილება მშვენიერი იყო, მაგრამ ერთი-ათად უკეთესი და ძლიერი იქნებოდა, რომ თვით სურათები უფრო ხელოვნურად წარმოედგინათ და ლექსების მკითხველიც რომ შესაფერი ეშოვნათ. ეს ისეთი მოსაწონი და ბედნიერი აზრია, რომ უეჭველია შემდეგისათვის ეცდებიან უკეთ შეასრულონ, მით უმეტეს, რომ ჯერ მარტო ისტორიული სურათები დიდად მოსწონს ჩვენს საზოგადოებას და ახლა თუ-კი ზედ დაერთობა თვით «სადღეგრძელოს» გაცხოველება სცენაზე, ყველანი დიდად ისიამოვნებენ. მომღერალთა შორის ყველაზე მომეტებული ყურადღება დაიმსახურა ბ-ნმა ბალანჩივაძემ, რომელსაც ჩინებულად გადაუღია ნოტებზედ ზოგიერთი ქართული ხმები.

იმედია, საზოგადოება შემდეგში უფრო გაამხნევებს ამ ხოროს და მისცემს შეძლებას, რომ ქართულმა გალობამ მკვიდრი საძირკველი მოიპოვოს თავის განსაძლიერებლად.

*** მილის წყალი დიდს ხმარებაში შედის ტფილელთა შორის. უკანასკნელს დროს დღიური შემოსავალი არის თოთხმეტ თუმნამდე.

*** ვარანცოვის ქუჩაზე, ედიგაროვების სახლის ახლო, საპნის ქარხანაა. ამ ქარხნის ბუხრის თავი თითქმის ქუჩის თანასწორად არის. როდესაც ჩრდილოეთის ან სამხრეთის ნიავი უბერავს, საშინელი ცუდი, დამწვარის ქონის სუნი მთლად სწამლავს ამ ქუჩას. ამას გარდა ესეთი დაბალი ბუხარი სხვაფრივაც საშიშია. ამ ქარხნის გარეშემო მომეტებულს ნაწილად ფიცრულის შენობები და ლობეებია. ადვილად შესაძლებელია, ქარის დროს ცეცხლი მოეკიდოს რასმე.

*** ჩუღურეთსა, ავლაბარსა და ხარფუხში,—სადაც უფრო ღარიბი ხალხი სცხოვრობს,—ყვავილი თან-დათან ძლიერდება და იწირავს მრავალს მსხვერპლსა. უმეცარს ხალხს ყვავილი «ანგელოზები» ჰგონია და ეშინიან მიჰმართოს ექიმს: «ანგელოზი გაჯავრდებაო».

არ იქნებოდა ურიგო, კავკასიის საექიმო გამგეობას მიექცია ყურადღება ამ საგნისათვის. საჭიროა ისეთი თხზულება ხალხისათვის მუქთად დასარიგებლად, რომელსაც შეეძლოს დააჯეროს ხალხი, რომ ყვავილი, ანგელოზი-კი არა, ავადმყოფობაა და ყვავილით ავადმყოფს ისეთივე ყურის გდება და პატრონობა უნდა, როგორც ყოველს სხვა ავადმყოფსა.

*** ბ-ნ აკოფოვის რკინეულობის საწყობთან, პარუნბეგოვის ქარვასლის პირდაპირ, პოლიციის მეექვსე ნაწილში, ქუჩა მუდამ დავიწროებულია რკინეულობითა. ხშირად, რადგან გავლის ილაჯი არ არის, ცხენის რკინის გზის ვაგონებსაც-კი შეაყენებენ ხოლმე, არამც თუ ეტლებსა და პოვოსკებს.

*** სომხების ნიჭიერი არტისტი ბ-ნი ადამიანი, ამას წინად მოსკოვში ყოფილა და სომეხ სტუდენტთა დახმარებით წარმოდგენა გაუმართავს ლიანოზოვის თეატრში. წარმოუდგენია «ოტელლო» და მშვენიერადაც უთამაშნია. წარმოდგენას დიდ-ძალი ხალხი დასწრებია, უმეტესად სომხობა.

*** გაზ. „Новости" ამბობს: ბელგიის საგეოგრაფიო საზოგადოების თავ-მჯდომარე, ბ-ნი ლეკლერკი, აპირობს დაიაროს კავკასია სამეცნიერო განზრახვითაო. ბელგიის მთავრობამ სთხოვა ჩვენს გარეშე საქმეთა სამინისტროს, რომ დაეხმარეთ ამ მეცნიერსაო.

*** „მშაკ" მიუღია ყარსიდამ ზეითუნის გაჭირებულთა სასარგებლოდ გამართულ წარმოდგენიდამ შემოსული 161 მანეთი. სხვა შემოსულ ფულებით ამ ჟამად «მშაკის» რედაქციაში სულ 211 მანეთია. წინად შეკრებილი ფულები, როგორც თავთავის დროს იყო გამოცხადებული, გადაუციათ ამ საგნისათვის დანიშნულ კომისიისათვის.

*** იმავე გაზეთში იწერებიან დუშეთიდამ, რომ ერთ იქაურ ახლად გარდაცვალებულის მოქალაქის აპრილიანცის ჭირისუფლებს ქელეხის გამართვის ნაცვლად 25 მანეთი შეუწირავთ დუშეთის სომხის სკოლისათვის. აგერ რამდენიმე წელიწადია, ტფილისის ეხლანდელმა სომხის ეპისკოპოსმა არისტაკესმა (სედრაკიანცმა) საქართველოს სომეხთა მღვდლებს ჩააგონა, რომ ქელეხის მოშლა უქადაგონ თავიანთ სამრევლოებსა და შეაცვლევინონ ეს ჩვეულება ისე, რომ მცირეოდენი შესაწირავი გამოაღებინონ საეკლესიო სკოლებისათვის და თვითონ ჭირისუფალნიც გადარჩნენ ზოგჯერ ვალსა და ვახშსა ქელეხების გამართვითა.

*** ქ-ნი ისაიანცი აცხადებს „მშაკ"-ში, რომ სომეხ ღარიბ მოსწავლეთათვის ჩემის თაოსნობით გამართულ წარმოდგენიდამ 13 მარტს შემოვიდა 699 მან. 45 კაპ. ხარჯის გარეშე დარჩა 449 მან. 55 კაპ.

---

— არც მე ვიქმნები დიდს სიამოვნებაში, მაგრამ ორის თთვით სოფელში წასვლას თავიდამ ვერას გზით ვერ ავიცდენ.

— ღმერთო! რისთვის გააჩინე სოფელი? ნუ თუ იმიტომ, რომ ჩემისთანა საბრალო ქალებს მწუხარება და ვაება მიანიჭო! რა მოსაგონებელი იყო სოფელი? ნუ თუ უმჯობესი არ იქმნებოდა, რომ ყველგან ქალაქები იყოს?

სოფო თვითონვე ჰგრძნობდა, რომ დამბადებელს ტყუილად უსაყვედურებდა; ჰგრძნობდა, რომ იმისი აზრი ყოვლად შეუსაბამო იყო, მაგრამ გატაცებული სიყვარული ყველაფერს ათქმევინებდა.

— წერილებს ხომ მომწერთ სოფლიდგან? ჰკითხა იმანვე სანდროს.

— რასაკვირველია, მხოლოდ იმ პირობით-კი, თუ თქვენც მომწეროთ.

— მე? უეჭველად. ხომ ხუთშაბათს წახვალ, მეორე დღეს უკანვე დაგადევნებ წერილსა.

— მერე რა გაჭირებაა ასე მალე?

— ისა, რომ თქვენც მალე გაგაბედვინოთ ჩემთან წერილის გამოგზავნა.

— მე თქმა არ მინდა, უიმისოდაც მალე მოვიწერები; მე ვიცი სოფელში დრო არ მექმნება წერისა?

— დრო-კი ბევრი გექმნება, მაგრამ წერილების ხშირად წერაში-კი მე გაჯობებთ.

— თუ ჯობნაზეა, ვნახოთ, ვინ აჯობებს,—მიუგო სანდრომ.

— ვნახოთ, დააბოლოვა სოფომ. ჰო, ნუ-კი დაივიწყებთ, რომ თუ გამოგზავნა იყოს, წერილები რუსულად სწერეთ, რადგან ჩემს მშობლებს რუსული არ ესმით. თორემ თუ გამიგეს, ვაი ხესა და ქვას! სულ ტუტას ამადენენ, სულს ამომხუთავენ, ზეზეურად დამტანჯავენ. მაგრამ რაკი რუსულად იქმნება წერილი დაწერილი, მე შემიძლიან ვუთხრა—ჩემის ამხანაგისაგან არის-მეთქი, და აბა რაღა ეჭვს აიღებენ მაშინ.

— მეც ამასვე გთხოვთ; ჩემს მშობლებსაც არ ესმით რუსული და თქვენის წერილის წაკითხვა რომ არ შეეძლოთ, ვინიცობაა ხელში ჩაუვარდეთ, რუსულად უნდა იყოს დაწერილი, თორემ თუ წაიკითხეს, არც მე დამეყრება კეთილი.

— რასაკვირველია, რასაკვირველია!—მიუგო სოფომ.

— მგონია, დრო არის გავწყვიტოთ ლაპარაკი და განვშორდეთ ერთმანეთს; შეიძლება ამ კიბეზედ ან აიაროს, ან ჩამოიაროს ვინმემ.

— დრო-კი არის, მაგრამ თქვენგან წასვლა მეძნელება.

— რას იზამ, როცა იძულებული ხარ გარემოებას დაემორჩილო. სიცოცხლე გქონდეთ, რომ მე თქვენზე ნაკლებ არ მესიამოვნება თქვენთან ყოფნა; მაგრამ რაც ასასრულებელია, სჯობს თავის დროზედ ასრულდეს. ამ დილითვე ხომ არ აპირებთ სახლში წასვლას? ჰკითხა დასასრულ სანდრომ.

— არა, საღამომდის აქედამ ფეხს არ მოვიცვლი. მინდა, ეს უკანასკნელი დღე თქვენს მახლობლად გავატარო. მე ეხლავე ავალ ჩემს დასთან და მთელი დღე სარკმელთან ვიტრიალებ, რომ იქიდგან კარგად გიცქიროთ. დარწმუნებული ვარ, დღეს თქვენ სულ შინ იქნებით.

— პატარა საქმე-კი მაქვს, ერთს ადგილას უნდა წავიდე, მაგრამ თქვენის გულისათვის ამ საქმეს სახვალიოდ გადავდებ. სულ ერთია, წასვლამდის სრული ორი-სამი დღე კიდევა რჩება და ყველა საქმეს ადვილად მოვასწრობ.

— მაშ ეს არის, უკანასკნელადა ვართ ერთად? ამოოხვრით ჰკითხა სოფომ.

— თუ ამ ორიოდე დღეს კიდევ როგორმე მოახერხებთ აქ მოსვლას, უკანასკნელი არ იქნება.

— საქმეც ეგ არის, რომ ჩემს მშობლებს ვერას გზით ველარ დავეღწევი. თუ არა კვირა-უქმე დღის მიზეზით, სხვაფრივ შეუძლებელია, რომ დასთან გამომიშვან.

— ლაპარაკი გრძელდება და დრო-კი მიდის. მშვიდობით, სოფო,—დაიწყო სანდრომ—იმედი მაქვს, ერთმანეთს არ დავივიწყებთ ამ ორის თთვის განმავლობაში; მე მტკიცედ დარწმუნებული ვარ, რომ ერთმანეთისადმი მიცემული სიტყვა ჩვენის გულიდგან არ აღმოიფხვრება და ქარსა და წყალს არ მიეცემა. მართალია, ასის ვერსით ვიქნები თქვენზედ მოშორებული, მაგრამ ჩემი გული და თვალი ყოველთვის თქვენთან იქნება, არც ერთს წამს არ მოგშორდებათ. წინად-გრძნობა ეხლავე მეუბნება, რომ ამ ზაფხულს საკმაო ტანჯვა მომელის უთქვენობით, მაგრამ იმითი ვინუგეშებ ჩემს თავს, რომ მალე დავბრუნდები აქვე და თქვენ ისევ ასე დამხვდებით და ასეთსავე სიყვარულს და თანაგრძნობას დამახვედრებთ. მეტი ბედნიერება არ მინდა, თუ ჩემს უკან დაბრუნებამდის თქვენს გულში მცირეოდენს ალაგს დამითმობთ და ისე ნდომით და სასოებით დაიმახსოვრებთ ჩემს სახელს, როგორც მე თქვენსას... მშვიდობით, დახანება აღარ ვარგა.

სოფოს ხელი გაუწოდა და მაშინათვე ცალი ფეხი კიდეც შედგა კიბის საფეხურზედ მაღლა ასასვლელად.

ასე გაბედვით, ასე თამამად სანდროს ჯერ სიტყვა არ უთქვამს სოფოსათვის; თითქო ამ ჟამად რაღაც გარემოების წყალობით სულ გამოიცვალა, სხვა ენა-პირი მიეცაო, იმ სახით ეთხოვებოდა სოფოს.

სოფომ ჯერ გაოცებით დაუწყო სანდროს ცქერა და ყურის გდება და ბოლოს, რა დარწმუნდა, რომ სანდრო აღარა ხუმრობს და ნამდვილად მემშვიდობებაო, გული ამოუჯდა და თვალებიდგან მსხვილ-მსხვილი ცრემლები გადმოსცვივდა; ხმა-ამოუღებლივ, გაუგებრად გაუწოდა მარჯვენა ხელი სანდროს, მარცხენათი ცხვირსახოცი ამოიღო ჯიბიდგან და წყნარად დაიწყო ცრემლების წმენდა.

— კმარა, თავი შეიკავეთ,—სთქვა უკანასკნელად სანდრომ და ისეთის სისწრაფით მოეცალა სოფოს, თითქო უკან მისდევენო.

სოფო ერთს წამს კიდევ იყო იმავე ადგილას გაჩერებული თვალებზედ მიფარებულის ცხვირსახოცით.

— მოწერა არ დაივიწყოთ... ნამტირალევის ხმით უკან გააყოლა კიბეზედ მიმავალს სანდროს სოფომ, მერე ნელის ნაბიჯით გამობრუნდა დაღონებული და დის სადგურისაკენ გაემართა.

მართლაც, მთელი დღე სოფომ დასთან დაჰყო. დილიდგან დაწყებული ბინდამდის, სანამ მშობლებისას წასვლის ვადაც მოუვიდოდა, სარკმელს არ მოშორებია: განუწყვეტლივ იცქირებოდა მეორე სარკმლისაკენ, რომელიც სწორედ იმის პირდაპირ იყო და საიდგანაც მთელი დღე, თითქმის განუწყვეტლივვე, სანდრო გამოსცქეროდა. სოფო სულ დაღონებული იყო მთელი დღე და, რაკი გამოლაპარაკებას ვერა ჰბედავდა სიშორის გამო, თითებით ანიშნებდა რაღაცეებს სანდროს, რომელიც თითებითვე აძლევდა პასუხს.

ბოლოს დაბინდდა. სოფო მოემზადა შინ წასასვლელად. პალტო ჩაცმული და შლიაპა დახურული მივიდა სარკმელთან და უკანასკნელად ნაღვლიანის გულით დაუკრა თავი სანდროსა.

ალ. მირიანაშვილი

(დასასრული იქნება)

*** «გაზეთების» სიტყვით, ამ ჟამად ...ილისში მყოფი ისპანიელი პრინ... დონ-ჟუან დე-შელვა (ძმა დონ-...ლოსისა) თავის თანამგზავრითურთ ...გაოცებულია კავკასიის ბუნებით, რომ აქაურის ერთის მხატვრისა... რამდენისამე ა'ის მანათის ზეთის ...ადით დახატული სხვა-და-სხვა ად...ლის სურათები უყიდნია.

## სასამართლოს მატიანე

(...ნთ კეზელისა და დანილოვის საქმე)

23 მარტი

(დასასრული *)

...ხატურიანი: საჭირო არ არის ბე... ლაპარაკი იმის თაობაზე, რომ ...ზელმა შეურაცხყო დანილოვი; ეს ...ად აშკარაა და დამტკიცებულიც ...ის. საქმე ის არის, მისცა თუ არა ...ანილოვმა კეზელს რაიმე საბაბი. ...ანილოვმა გაავრცელა კეზელის წე...ილებიდგან ამონაგლეჯი ადგილები ...ის სახელის დასამცირებლად და ...ასალახად, იმ რიგად, რომ კეზელს ...ვითარი ღონის-ძიება არა ჰქონდა ...ასაჯა დანილოვის საქციელი. კე...ლი იარაღში ვერ გამოიწვევდა და...ლოვს, რადგანაც იცოდა, რომ ...ანილოვი იარაღში არ გამოვიდო...ა, არც მწერლობაში შეეძლო გაე...რთლებინა თავი, რადგანაც მწერ...ობას თავი უნდა შეეკავებინა, სა... სასამართლო თავის განაჩენს არ ...ადებდა. ჩემი მრწმუნებელი ვერც ...სამართლოს მიჰმართავდა, რადგა...ც დანილოვი მალულად ავრცე...ბდა წერილებს. დანილოვს-კი, თუ ...ოდა კეზელის მიერ მხილება გა...ემბინა, შეეძლო მიემართა ...ინდ მწერლობისათვის, რადგანაც, ...ოგორც იმისი წერილები გვიმტკი...ბს, დანილოვს წერაც შესძლებია. ...ნილოვის დანაშაულობა მით უფ... მძიმეა, რომ დანილოვი ავრცე...ლებდა არა მთელს წერილებს, ...ამედ ამონაგლეჯს ადგილებს. ამ ...მთხვევაში დანილოვმა ყალბობა ...იდინა. მე ამას თვით წერილების ...კითხვით დავამტკიცებ.

...ხატურიანი ჰკითხულობს კეზელის ...რილებს **). (სამი წერილია) სრუ...ად და ამბობს, რომ კეზელს მხო...ოდ დაუსრულებია წინანდელი საქ...ები რკინის გზისა და, მაშასადამე, თუ ...ომელიმე საქმე არა კანონიერი ...ყო, ეს კეზელის ბრალი არ არის, ...ამედ დანილოვისაო. კეზელი იძუ...ებული იყო ეცრუენა ლანჩხუთე...ების წინაშე, რადგანაც დანილო... დროზედ ფულს არ უგზავნიდა. ...ზელი ცდილობდა მოეპოვებინა და...ილოვის ნდობა მხოლოდ იმისთვის, ...ომ საქმეები საჩქაროდ დაესრულები...ა და დანილოვს არ გაეჯახირებინა. ...აც შეეხება მამულების უფასოდ შე...ენას, ეს მარტო დანილოვის ბრა...ია და არა კეზელისა.

...ხლა ვნახოთ, რა ღონის-ძიებას ...მართავდა დანილოვი კეზელის დასა...ცირებლად. იმან მიჰმართა დ. ერის...ავს და აკაკი წერეთელს. დანილოვს ...უნდა სცოდნოდა, რომ წერეთელი ...ულ-მწყრალად იყო კეზელზე, რად...ნაც კეზელმა ერთს თავის წერილ...ში ამ ორის წლის წინად გაარჩია წე...ეთლის თხზულება «თამარ ცბიერი». ...რეთელმა იწყინა კეზელის წერილი ...ა კეზელს პასუხი გასცა «Нов. Обоз.»-ში. შემდეგ კიდევ ქართულს გაზეთს «ივერიაში» დაიბეჭდა ისეთის შინაარსის წერილი, რომ მე ამ წერილის გამო აქ ლაპარაკი სამარცხვინოდ მიმაჩნია. მწერლის თავ-მოყვარეობა საზოგადოდ იმდენად ძლიერია, რომ წერეთელმა ორის წლის განმავლობაშიაც-კი არ დაივიწყა კეზელის კრიტიკა. აი, ამიტომაც აკაკი წერეთელი ავრცელებს კეზელის წერილებიდგან ამოღებულს ფრაზებს. მოწმების ჩვენებიდგანა სჩანს, თუ წერეთელი და დიასამიძე როგორის ბოროტის სიხარულით უჩვენებენ სხვებს კეზელის წერილებიდგან ამონაგლეჯ ფრაზებს თავ. მაჩაბლის «შავს კაბინეტში» (**черный кабинетъ**).

ხატურიანმა წარუდგინა სხვა-და-სხვა საბუთები მოსამართლეს.

პოლტარაცკი. სრულიად თანახმა ვარ, რომ ამ საქმეს საზოგადო ხასიათი აქვს. სხვა-და-სხვა საბუთებიდგანა სჩანს, რომ დანილოვს არავითარიმე უსინიდისობა არ ჩაუდენია იმ საქმეებში, რომლებსაც კეზელი ასახელებს თავის წერილში („**Зигзаги**“). არც ისა სჩანს, რომ თვით დანილოვს გაევრცელებინოს კეზელის წერილები. კეზელი-კი ისეთს დანაშაულობას აბრალებს დანილოვს, რომელსაც თვითონ სჩადიოდა. ნამდვილია, რომ კეზელმა სრულიად უფასოდ წაართვა ლანჩხუთელებს $7^1/_2$ დესიატინა მიწა. რკინის გზას უნდოდა მიეცა სასყიდელი ამ მიწის პატრონებისათვის, მაგრამ კეზელმა საქმე ისე მოაწყო, რომ ამათ ყოველივე უფლება დაჰკარგეს ამ მიწაზე და არავითარიმე საშუალება აღარა აქვთ თავიანთი უფლება აღადგინონ. რაც შეეხება იმას, ...ითომ დანილოვი მხოლოდ კეზელის იმ ფრაზებს ავრცელებდა, რომლებიც ლაქას სდებენ კეზელსაო, ეს ტყუილია. სხვა ადგილებს წერილებისას არავითარი მნიშვნელობა არა აქვთ, ისინი ამონაწერ ადგილებს არც არას უმატებენ და არც არას აკლებენ. ფრაზას, რომ «მემამულეები, რომლებსაც სრული კმაყოფილება არ მიუღიათ, ბევრი აღმოჩნდა, მაგრამ მე დავარწმუნე, რომ სრული სასყიდელი მიგიღიათო», მხოლოდ ერთად-ერთი აზრი აქვს, ესე იგი, ისა, რომ იმ მემამულეებისათვის, კეზელის წყალობით, სრული სასყიდელი არ მიუციათ.

პოლტარაცკიმ წარუდგინა მოსამართლეს სხვა-და-სხვა შემოწმებული საბუთები. ეს საბუთები განიხილა ხაჩატურიანმა და ერთს იმათგანზე, სახელდობრ, იმ საბუთის გამო, რომლის სინამდვილე შემოწმებული იყო დანილოვის მიერ, სთქვა: ამ საბუთს მე არავითარს მნიშვნელობას არ ვაძლევ, რადგანაც კარგად ვიცი, თუ რა კაციც არის ბ-ნი დანილოვიო.

სასამართლომ, როგორც გამოცხადებული იყო, კეზელს 135 მუხლის ძალით მიუსაჯა ორის თვით ციხეში დაპატიმრება.

*) იხ. „ივერია“ №№ 63, 64 და 65.

**) კეზელის წერილები და სხვა საბუთები საქმის შესახებ არ მოგვყავს ადგილის უქონლობის გამო.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ქუთაისი, 25 მარტი. კვირა დამეს, ორს საათზედ, საშინელ ზენა ქარის დროს, ვიღაც ბოროტმა კაცმა წაუკიდა ცეცხლი ჩვენს „სამეფო სახლს“ და გადაფუთქა. წინ რომ სომხეთ ქვითკირის ეკკლესია და სკოლა არ დახვედროდა, გადაიწოდა მთელი უბანი. დაიწვა მხოლოდ თვით სამეფო სახლი სრულიად, ორი მშვენიერი კიპაროსის ხე და ერთი ას წლოვანი ცაცხვის ხეც ძლიერ დაზიანდა. გაქრა ქუთათურებისათვის საზაფხულო გასართობი ადგილი.

უგანასკნელად ეს სახლი ეჭირა ახლად დაარსებულ საზოგადოებას და ეგრეთ წოდებულს «კრუჟოკს», რომელიც კლუბს განადგურებას ემუქრებოდა. იმას აქეთ, რაც კრუჟოკი დაარსდა, კლუბი ყომარბაზობის ადგილად შეიქმნა. მართალია, ძნელია იმისთანა პატარა ქალაქისათვის, როგორიც არის ქუთაისი, ორის ერთ ნაირის საზოგადოების შენახვა. მაგრამ საქმე ის არის, რომ «კრუჟოკს» უფრო ვრცელი და მიმზიდველი პროგრამა ჰქონდა. «კრუჟოკს» უნდა გამართა, რაც შეიძლება ხშირად, წარმოდგენები და კონცერტები; თუ ვინმე გამოჩნდებოდა ასამსრულებელთაგანი ნიჭიერი და კარგის ხმის პატრონი, საზოგადოებას უნდა ეზრუნა იმისი აღზრდა და გაწვრთნა. გარდა ამისა კრუჟოკის პროგრამა შეიცავს ყოველსავე იმას, რასაც შეიცავდა კლუბის პროგრამა და ამასთან საწევრო ფულიც ბევრად დაკლებული იყო კლუბისაზე — «კრუჟოკში» 6 მან. და კლუბში 15 მან. წლიურად. კრუჟოკის საქმე თავად-პირველად რიგიანად წავიდა; ჩაეწერა 300 წევრი. პრინცმა ოლდენბურგისამ შესწირა ას თუმნიანი როიალი. ამ ზამთარს გამართეს წარმოდგენები, კონცერტები, ბალები და მასკარადები და თუმცა ის ადგილი გვარიანად მოშორებულია ქალაქის შუაგულზე, რის გამოც ცოტათი შეფერხებული იყო ამ ზამთარში «კრუჟოკის» საქმე, მაგრამ მაინც როგორც იყო მიდიოდა. რაკი გაზაფხულის სუნმა დაჰკრა, კრუჟოკს, რასაკვირველია, იმედი გაუათკეცდა, რადგან მშვენიერ ბაღსა და ახლოს ჰქონდა ადგილი ... მოელოდა ... ესთ ამბავი ცოტა არ იყოს გულს უწყლულებდა კლუბელებს... მაგრამ მოესწრო ამათ ღმერთმა და დაიწვა სამეფო სახლი.

დაიწვა, დაიწვა, მაგრამ როგორც ამბობს ხალხური ანდაზა: ცუდიც ისეთი არა არის-რა, რომ კარგიც რამ არ მოჰყვეს თანაო, ასეა ჩვენი საქმე. იმ სამეფო სახლის საქმე ძლიერ აწეწილ-დაწეწილი იყო. თვით სახლი თავად-აზნაურობას ეკუთვნოდა; თავად-აზნაურობამ ააშენა თავის ხარჯით ხელმწიფის ჩამობძანების დროს. ადგილს ედავებოდა ქალაქი, რადგან საბაზიერო იყო და ყველა საბაზიერო ადგილები, ქალაქის თვით-მმართველობის დაარსების დროს, გადასცეს ქალაქს. ეხლა თავად-აზნაურობა მცირედენს საფასურს 4,000 მ. აიღებს ცეცხლისაგან დამზღვეველ საზოგადოებისაგან და მიწას დაანარჩუნებს ქალაქი. ბ-ნი სულოტრენნიკოვი, მოიჯარადრე იმ სახლისა, აიღებს საფასურს თავის აევჯეულობაში და კრუჟოკი შეეფარება კლუბსა. იქმნა სამართალი სოლომონისა და გაიჭრა ნასკვი გორდიისა! დღეს შეკრიბნენ კრუჟოკის წევრნი, თათბირი ჰქონდათ ყოფნისა თუ არ ყოფნაზედ და დაადგინეს, რომ კრუჟოკის უფროსები მოელაპარაკნენ კლუბელებს შეერთების თაობაზე.

ბესიკი

## რუსეთი

ამ ბოლოს დროს ძალიან ემდურებიან რუსეთში ეგრედ-წოდებულს ერობასა. ემდურებიან ისინიცა, ვისაც ეს დაწესებულება მეტად სალიბერალო საქმედ მიაჩნიათ და ამიტომ სულითა და გულითა სძაგთ და ისინიცა, ვინც მომხრეა და იმის სიკეთესა და კეთილდღეობას ნატრობს. პირველების სამდურავი ადვილი მისახვედრია, ხოლო მეორეთა სამდურავის მიზეზი ის უნდა იყოს, რომ ერობის დაწესებულებანი არ ამართლებენ იმ დიდს იმედსა, რომელიცა ჰქონდათ რუსეთის უკეთეს მოღვაწეთა. ხოლო მაინცა და მაინც ერობის დაწესებულებათა ქონვა ბევრად სჯობს არ-ქონვასა და სჯობს იმიტომ-რომ, საცა ერობის დაწესებულებანი, რუსულად **земскія учрежденія**, შემოღებულია, იქ ბევრად უკეთ მიდის საქმე. იქ სკოლებიც ბევრია, სამკურნალო და აფთიქებიცა, გზებიც კარგად არის გაკეთებული და კეთილდღეობაც მეტი აქვს ერსა. ხოლო საცა ეს ერობის დაწესებულებანი შემოღებული არ არის, იქ ყოველ ზემოხსენებულ საქმეში ერი უკან არის ჩამორჩომილი. რუსეთში ერობის დაწესებულებანი ანუ თემობა შემოღებულია მხოლოდ 34 გუბერნიაში. 14 გუბერნიასა და კიდევ ზოგიერთ მხარეში არ არის შემოღებული და თემობის საქმე აბარია ისევ ადმინისტრაციას, როგორც ძველად იყო, ბატონ-ყმობის გადავარდნამდე. გაზეთი „**Рус. Вѣд.**“-ი დღევანდელს მეთაურს წერილში ადარებს ერთმანერთს ორისავე გვარის გუბერნიებს და ამტკიცებს, რომ საცა თემობაა, იქ გაცილებით უკეთ მიდის საქმე და ერსაც დიდი შეღავათი აქვსო. აი საბუთები ამ გაზეთისა მოკლედ:

იქ საცა თემობაა, ყოველივე ცხადია, დაუფარავი, დაბეჭდილი და გამოქვეყნებული. რაც-კი გუბერნიის ცხოვრებას შეეხება, ყველას დანახვა, გაჩხრეკა, განსჯა და შესწავლა შეიძლება. საცა-კი თემობა არ არის, იქ ყოველივე დაფარულია და გამოცხადებით არა სჩანს-რა.

შევადაროთ ახლა რასა ჰხარჯავენ ორისავე გვარის გუბერნიები სხვა-და-სხვა საჭიროებაზედ: 14 გუბერნიაში, საცა თემობა არ არის შემოღებული, 1884 წლიდამ დაწყებული 1887-მდე შემოვიდა ყოველ წელს საერო გარდასახადი სულ $5^1/_2$ მილიონამდე მანათი. აქედამ ოთხი წილი სავალდებულო საჭიროებაზე დაიხარჯა და მხოლოდ ერთი წილი დარჩა სკოლებსა და სხვა სასარგებლო საქმეებისათვის. 34 გუბერნიაში კი, საცა თემობაა შემოღებული, 1885 წელს შემოვიდა 43 მილიონ მანათამდე. აქედამ სავალდებულო საჭიროებაზე დაიხარჯა მხოლოდ ნახევარი და ნახევარი-კი დარჩა ათას სხვა სასარგებლო საქმეებისათვის, როგორც, მაგალითად, სკოლები, მკურნალების მოწვევა და სხვა ამ გვარები. ეს კიდევ არაფერი, განვაგრძოთ შედარება.

14 გუბერნია, საცა თემობა არ არის, სამართალზე და მოსამართლეებზე ჰხარჯავს მესამედს თავის შემოსავლისას, 34 გუბერნია-კი, საცა თემობაა შემოღებული, ჰხარჯავს მხოლოდ მეათედს და თუ უკეთ არა, იმ 14 გუბერნიაზე ურიგოდ არა აქვს მოწყობილი საქმე მართლ-მსაჯულებისა; 14 გუბერნია გლეხთა დაწესებულებათათვის ჰხარჯავს ბევრად მეტს, ვიდრე 34 გუბერნია. ექიმობისა და მკურნალობისათვის იმ 14 გუბერნიაში დაიხარჯა 1885 წელს 380 ათასი მანათი, თითო გუბერნიაზე მოდის 27 ათასი. თემობა-კი ჰხარჯავდა ამავე საგნისათვის 10 მილიონ მანათამდე, რაიცა თითო გუბერნიაზე მოდის 266 ათასი მანათი. ერთის სიტყვით, ათჯერ მეტი დაუხარჯავს თემობას ერის ჯან-მრთელობის საქმისათვის. საერო განათლებისათვის, საცა თემობა არ არის, თითო გუბერნია ჰხარჯავს ოთხი ათას მანათს, ანუ მანათიდამ ერთს კაპიკსა, თემობა-კი თითო გუბერნიაში ჰხარჯავს 202 ათას მანათსა, ესე იგი ორმოცდა-ათჯერ მეტსა. თემობამ ამავე საგნისათვის გადასდო 1885 წელს 7 მილიონამდე მანათი ფული. სამის წლის განმავლობაში თემობა ჰხარჯავდა ყოველ წელს სკოლებისათვის 659 ათას მანათსა და დანარჩენი 14 გუბერნიები-კი მხოლოდ 179 ათასსა.

ნუ თუ ეს გარჩევა მცირე გარჩევაა? ყოველივე ესე განა ცხადად არ ამტკიცებს, რომ თემობა ფრიად სასარგებლო დაწესებულებაა რუსეთში და დიდად სასურველია, რომ შემოღებულ იქმნას იქაც, საცა ჯერ-ჯერობით შემოღებული არ არის, როგორც, მაგალითად, იმ 14 გუბერნიაში, კავკასიაში, ციმბირში და ბევრგან კიდევ სხვაგან. ვინც ყოველსავე ამას ჰხედავს, ის დიდი მოსურნეა, რასაკვირველია, რომ ჩვენში შემოიღონ თემობა, რათა ამ სასარგებლო ცვლილების შეწყობით უფრო კარგად შევისწავლოთ ჩვენი საჭიროება, შეძლება და ღონე და მეტი ვხარჯოთ როგორც საერო განათლებისა და სკოლებისათვის, ისე მკვიდრთა ჯან-მრთელობისა და სხვა დიდად საყურადღებო საჭიროებათათვის. ჩვენის აზრით, მხოლოდ ის არ ისურვებს ჩვენში თემობის შემოღებასა, ვინც არ იცის ყოველივე გარემოება საქმისა და ბუნებითვე წინააღმდეგია ყოველ სასიკეთო ცვლილებისა.

## წვრილი ამბები

პოზნანში მკვიდრთ ხელს აწერინებენ და განზრახვა აქვთ თხოვნა შეადგინონ, რომ პოლშურს ენაზედ დაარსდეს უნივერსიტეტიო.

— ბერლინის საფოსტო მუზეის განუზრახავს შეჰკრიბოს ყველა ის გაზეთები და ჟურნალები, სადაც-კი სწერია რამე გარდაცვალებულ გერმანიის იმპერატორ ვილჰელმზე, ან იმის სურათია დაბეჭდილი და სხ. ამ აზრით ბერლინის გაზეთის ექსპედიცია სთხოვს ყველა რედაქციებს, რომ გაუგზავნონ ხსენებული ნომრები თავიანთის გაზეთისა.

— 2 მაისს პოტსდამში დანიშნულია ქორწინება იმპერატორ ფრიდრიხ მე-III უმცროსის შვილისა, პრინცის ჰენრიხისა, და პრინცესა ირინა ჰესენ-დარმშტადტელისა.

— ამას წინად რომის ქუჩებში გამოჩენილა ვიღაცა უცხო-ქვეყნელი, რომელსაც ტანზედ ასხმული ჰქონდა თურმე მკვლებური იაპონიის საჭურველი და რომელიც გამვლელსა და გამომვლელს ხმალს უღერებდა. მოსიარულენი გაიფანტნენ თურმე აქეთ-იქით და ეს კაცი პოლიციელთ დიდის წვალებით და ტანჯვით წაიყვანეს და საგიჟეთში დაამწყვდიეს. აღმოჩენილა, რომ ეს უცხო-ქვეყნელი შეძლებული და მდიდარი რუსთაგანია და ჭკვათა არა-მყოფელიო. შესულა ეს კაცი იარაღის მაღაზიაში, უყიდნია ორი ათას თუმნად იაპონიის მკვლებური იარაღი, ზედ აუსხავს და ისე დაუწყია ქუჩა-ქუჩა სიარული.

— «Pall-Mall Gazette»-ში დაბეჭდილია სტატისტიკური ცნობები იმის თაობაზედ, თუ რამდენად არის გავრცელებული საფრანგეთის რომანები ინგლისში. გაზეთი ამბობს, რომ ყველაზედ მეტად ინგლისში გაზორიოს და ბუაგობეს რომანებია გავრცელებულიო. ამ მწერალთა თხზულებანი წლიწადში

100,000-ობით იყიდებაო. ამათ მოსდევს ზოლას რომანები. ზოლას რომანები გვირაში 1,000 ეგზემპლიარამდე იყიდებაო. მესამე ადგილი ჟორჟ ონეს უჭირავსო.

— რას აკეთებენ მგლებისაგან? მგლებისაგან აკეთებენ თურმეტ ნაირს რასმე, სახელდობრ: ოთხს ხარისხოვანს მგლის ნაწმირსა სწვავენ. ამ ნაწმირს ზოგს შაქარ-წყალის დასაწმენდად ჰხმარობენ, ზოგს სამხატვრო წამლად და სხვანი. ამას გარდა მგლებისაგან ქონსა და ძვლისაცა ჰხდიან.

— ამერიკელ ქალებს განუზრახავთ საერთა-შორისო საქალებო კრება გაჰმართონ ვაშინგტონში. ამ კრებაზედ ყველა ერთა ქალები უნდა დაესწრნენ. გარდაუწყვეტიათ, რომ ჩვენის კრების ახლოს არ უნდა მოვუშვათ არც ერთი კაციო. გაზეთები ამბობენ, რომ კრების გამართვის მოთავეთა შორის ეხლავე დაიწყო უსიამოვნება და აშლილობა, იმის გამო, თუ კრებაზედ ვინ ითავ-მჯდომარეებს, მდივნად ვინ იქმნება და ან სად უფრო სჯობია კრების გამართვაო.

— ამ დღეებში პარიჟის პოლიციას აღუკრძალავს პატარა ფურცლები, რომლებიც ქუჩა-ქუჩა დაჰქონდათ თურმე და შიგ გამოცხადებული იყო, რომ გერმანიის იმპერატორი ფრიდრიხ III გარდაიცვალა და ამა-და-ამ დღეს დაასაფლავებენო. ეს ფურცლები აღკრძალეს თურმე გერმანიის ელჩის თხოვნითა და ამასთანავე დაპატიმრებულია აგრეთვე ფურცლების დამბეჭდავიცა.

— გარდაცვალებულთა მიწის მიბარების მაგიერ დაწვა როგორღაც გავრცელებას აპირობს. მაგალითებრ, სან-რემოში წარსულს პარასკევს დაუწვავთ გვამი გარდაცვალებულის ახალგაზრდა ქალისა, ალისა ფუნკ-ბრემბახისა, რომელსაც სიკვდილს წინად პირობა ჩამოურთმევია ქმრისათვის, რომ ჩემი გვამი უეჭველად დააწვევინეო. გვამი ერთის საათის განმავლობაში დამწვარა და არავითარიმე ბოლი და ცუდი სუნი არა ჰქონია. დაწვის შემდეგ მშვენიერი თეთრი ფერფლი მოუგროვებიათ და შეუნახავთ. ამ ამბავს გარდაცვალებულის ქმრის გარდა, დასწრებიან პოლიციის უფროსის ხელ-ქვეითი, გერმანიის ვიცე-კონსული, მღვდელი, დიდმალი ექიმობა, ჟურნალისტობა და გარდაცვალებულის ნაცნობნი და ნათესავნი.

— პეტერბურგში უკვე მიუღიათ «საერთა-შორისო ლექსიკონი თანამედროვე მწერალთა (Dictionnaire international des écrivains du jour), რომელიც იბეჭდება ფლორენციაში განთქმულის ენების მცოდნე მეცნიერ ა. დე-გუბერნატისის რედაქტორობით. ჯერჯერობით ლექსიკონი დაბეჭდილია A-დგან Bab-ამდე და შიგ მოხსენებულია 476 მწერალი პაწია ბიოგრაფიებითურთ. ამ მოხსენებულ მწერლებში 134 ეკუთვნის იტალიას, საფრანგეთს—128, ინგლისს—34, გერმანიას—31, ისპანიას—19, რუსეთს—18, პორტუგალიას—15, სამხრეთ ამერიკას—18, შეერთებულ შტატებს—14, ვენგრიას—12, შვეციას,—10, საბერძნეთს—7, ბელგიას—6, ნორვეგიას—5, შვეიცარიას—4, ჰოლანდიას—4, რუმინიას—4, სომხეთს—4, ფინლიანდიას—3, ოსმალეთს—3, დანიას—2, პოლშას—2, ირლანდიას—1 და არაბეთს—1. ამ ლექსიკონს დიდის ადტაცებით მიეგებნენ ყველგან, რადგანაც ჯერ მეტად გავრცელებულს ენაზეა დაწერილი, ფრანგულზედ, და მეორე—არც მალიან მვირადა ჰღირს, სულ 6 მანეთია ფასი.

## გასართობი

ლონდონში ამას წინად შემდეგი ამბავი მომხდარა. წარსულის თთვის 18 რიცხვს ლონდონში ჯვარი დაუწერია ლორდ პელტონს მეტად მშვენიერსა და ლამაზს მის ანნა დულეკსზე. ბედნიერი ქმარი ქორწინებისათანავე წასულა თავის მახლობელს ციხე-დარბაზში და თან წაუყვანია თავის მშვენიერი მეუღლეცა. მისულან თუ არა, ლორდი რამდენისამე ხნით გამოსულა ცოლის ოთახიდგან და ჩქარა ისევე შებრუნებულა. შებრუნებულა, მაგრამ ცოლი იქ აღარ დახვედრია. მოუძებნია ყველა ოთახები, აქეთ უტრიალნია, იქით და ბოლოს თავისი მშვენიერი მეუღლე მოსაწევ ოთახში უპოვნია. მშვენიერი ლედი საქორწილო ტანისამოსში ნებიერად იჯდა სელზედ და სიგარას აბოლებდა სიამოვნებით. ეს ამბავი ლორდსა სწყენია, მოუნდომნია სიგარის ხელიდგან წაგლეჯა, მაგრამ ახალგაზდა ქალს ხელით მოუშორებია ქმარი:—მოითმინეთ მთელი დღეა სიგარას ვერ მივეკარე და ამალამ არ დამეძინება, მანამ ორიოდე სიგარა არ გავათავოო. განრისხებულს ლორდს მაშინვე შეუზმევინებია ეტლი და მშვენიერი ლედი თავის მშობლებთან გაუგზავნია ლონდონში.

**

აი გარეგანი თვისებანი გერმანიის პარლამენტის წევრთა: 72 დეპუტატი გამხდარი და მჭლეა, 97—გაბერილი და მსუქანი, დანარჩენნი შუა აგებულებისანი არიან; 84—მაღალისა და წერწეტის ტანისაა, 44—დაბალისა და მცირესი, დანარჩენნი—შუა ტანისა; 142 დეპუტატს თავზედ თმა შერჩენილი აქვს, 65—წვერიანია, 52—მოპარსულია, 73—ულვაშებს ატარებს, 48—ბაკებს, 34—წვეტიანს წვერს უშვებს ხახამსავით; 79—სათვალეებს ატარებს, 57—პენსნეს და 21—მონოკლს. დასასრულ, რეიხსტაგში 338 დეპუტატი ეწევა თამბაქოს და 39—არ ეწევა.

<>

## დეპეშა

26 მარტი

**ბერლინი.** საკანცლერო კრიზისი აცილებულ იქმნა. თავი დაუნებებიათ იმ განზრახვისათვის, რომ პრინცს ბატენბერგს პრინცესა ვიქტორია შეერთოთო.

**პარიჟი.** დიუნკირხენის კრებაზედ, რომელზედაც 2,000 კაცი დაესწრო, თითქმის ერთ-ხმად იქმნა მოწონებული ბულანჟეს კანდიდატობა.

**პოზნანი.** იმპერატრიცა ვიქტორია მოვა აქა წყლისაგან წალეკილ ადგილების დასათვალიერებლად.

27 მარტი

**პეტერბურგი.** სამედიცინო დეპარტამენტში კრებანი იმართება სამხრეთ გუბერნიების ერობათა წარმომადგენელთა მიერ. ამ კრებებზედ ესწრობიან ბეითალებიც და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს წარმომადგენელიცა, რათა იღონონ რაიმე ღონე შინაურ პირუტყვის ავადმყოფობისა და ჭირის წინაამდეგ.

გაზეთი **«Русское Дѣло»** გააფრთხილეს ხელ-მეორედ, რადგან, პირველის გაფრთხილების მიუხედავად, გაზეთს ისევ ადრინდელივე მავნებელი მიმართულება ეტყობაო.

**სოფია.** დღეს გამოცხადებულ იქმნა მთავრის უწყება, რომლის ძალითაც სამხედრო სასამართლოს წევრებად მაიორ პანოვის საქმის გამო დანიშნულნი არიან: უფროს მოსამართლედ პოლკოვნიკი ნიკოლაევი და მსაჯულებად-კი ოთხი შტაბ-ოფიცერი. დასახელებული არ არის ის დღე, როდესაც უნდა გაირჩეს საქმე.

## პეტერბურგის ბირჟა 24 მარტი

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გარიგებისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო. | — ,, | — ,, | 9 55 |
| ტამოჟნის კუპონები . | — ,, | — ,, | 190¾ |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . . . | — ,, | — ,, | 1 42 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . . | — ,, | — ,, | 268½ |
| —მეორისა . . . . . | 246 | — ,, | — ,, |
| გირავნობ. ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა . . | — ,, | — ,, | -- ,, |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |

<>

## სავალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპჱ (1888) წელიწადია.

ქვეყნის შექმნიდამ 7396.

ძველი ინდიქტიონი მე-14,

ამისი ქორონიკონი—უპ=480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4,

ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1888 წლის ზედ-ნადებია—25.

მარტი 31 დღით არის

29 დღე სამშაბათი. ღირსისა მარკოზისა და სხვათა. კათოლ. დიმიტრისა. მუსულ. მე-29 რიცხვი თთვისა რეჯაბისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—1. ტფილისში მზე ამოდის 5—28, ჩადის 6—36. მთვარე 30 დღისაა.

30 დღე ოთხშაბათი. ღირსისა იოანესი და ეპ. ზოსიმესი. კათოლ. კვირინესი. მუსულ. მე-30 რიცხვი თთვისა რეჯაბისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—1. ტფილისში მზე ამოდის 5—26, ჩადის 6—37. დაბადება მთვარისა ღამის 12 საათსა და 12 წუთზედ.

31 დღე ხუთშაბათი. წამება იპატისა და აპოლონისა. კათოლ. ბენიამინისა. მუსულ. 1-ლი რიცხვი თთვისა შაბანისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—1. ტფილისში მზე ამოდის 5—25, ჩადის 6—38. მთვარე 2 დღისაა.

<>

## გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

16 მარტიდამ 1 აპრილამდე

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული | 1 გირ. | 5 კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა . . | | 3 » |
| 2 › | | 2½ » |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | | 5 › |
| › » 2 › | | 3½ |
| › › 3 › | | 3 › |
| ჯვარის მამის პურის ღავაში | | › |
| 1-ლის ხარისხისა . . | | 5 › |
| მე-2 ხარისხისა . . | | 4 › |
| მე-3 — . . . | | › › |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | | 11 › |
| სუკი . . . . | | 16 › |
| ძროხის ხორცი . . . | | 9 › |
| › 2 › | | 8 › |
| ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა. | | » › |
| › 2 › | | » › |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა

შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკეობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით—დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით; ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკეობითა და კვირაობით, რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთსადგურებიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

კვირაობით, საღამოზე, და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკეობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისაკენ, ხოლო თუ საჭიროა, ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

## განცხადებანი

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და წერა-კითხვის საზოგადოების სამართველოში:

### საუკეთესო ცოდნა

შედგენილი და ახლად შესწორებული გიორგი წერეთლისა.

გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა

ფასი ერთი აბაზი

---

**წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების**

### წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ-Сарай Земельн. Банка, № 109,110)

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულ ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახნანი განვაზე საკერი, გ. ტატიშვილისა . . . . . . ,, | | 20 |
| ბუნების მოვლენანი, ს. მესტიშვილისა . . . . . . ,, | | 15 |
| ფშაური ლექსები, გაზ. «ივერიის» გამოცემა. . . . . ,, | | 40 |
| ჰამლეტი, ტრაგედია შექსპირისა, ინგლისურით ნათ. ი. მაჩაბლის მიერ . . . . ,, | | 30 |
| ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა. . . . . . . . ,, | | 50 |
| საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც. . . . | 3 | |
| სამართლის წიგნი ვახტანგ რჯულ-მდებლისა (რუსულს ენაზე) . . . . . . | 3 | 50 |
| საუკეთესო ცოდნა გიორგი წერეთლისა მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა . . ,, | | 20 |
| ოტელო შექსპირის ტრაგედია ი. მაჩაბლის ნათარგმნი ინგლისურიდამ . . ,, | | 50 |
| ჩატეხილი ხიდი, შენიშვნები «ოთარაანთ ქვრივზე» . . ,, | | 20 |

---

**დაიბეჭდა და ისყიდება**

**ყველა წიგნის მაღაზიებში**

# ოტელო

შექსპირის ხუთ-მოქმედებიანი ტრაგედია,

**ივანე მაჩაბლის**

თარგმანი ინგლისურიდამ.

ფასი ათი შაური

---

დაიწყეთ გასყიდვა სრულიად უშიშარის

**შვედურის ასანთებისა**,

რომელიც ბევრად განკარგებულია და გაუმჯობესებული, თეთრი ალი აქვს და ფრიად იაფადაცა ღირს. ნარდად მყიდველთ ბევრი დაეთმობათ.

# ქარხანა

**გ. ბ. ტერ-ასატუროვისა და კº.**

ვერაზე, ტფილისის ქალაქში.

(50—42)

---

## გრ. ჩარკვიანის

### ქართულის წიგნის მაღაზიის მიერ

გამოცემული წიგნები ისყიდება შემდეგს ქალაქებში:

ტფილისს—გრ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში, ლორის-მელიქოვის ქუჩ., ზუბალოვის სახლი;

ქუთაისს—ვარლამ ჭილაძის წიგნის მაღაზიაში;

ხონს—ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში;

გორს—კონსტანტინე ცხვედაძეს წიგნის მაღაზიაში;

ოზურგეთს—კონსტანტინე თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში;

ბათუმს—,,კოგზალის ბუფეტში‘‘;

ფოთს—ბესარიონ კალანდაძესთან;

სოხუმს—გ. ჭამჭაანის მაღაზიაში;

ახალციხეს—ალექსი სალარიძეს მაღაზიაში, ძველ ქალაქში;

თელავს—ალექსანდრე მერაბოვის მაღაზიაში;

სიღნაღს—სანდრო ჟაჯარტუზოვის მაღაზიაში;

კავკავს—ბუდან სომხიევის მაღაზიაში;

სურამს—მიხეილ შურგაიასთან, აფთიაქის გვერდით. (3—3)

---

## კანცელარია და წიგნთ-საწყობი

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა გადავიდა ახალს სადგურში, სათავად-აზნაურო ბანკის ქარვასლაში, თეატრის გვერდით, №№ 109 და 110. წიგნთ-საწყობი ცალკე არის მომართული. წიგნთ-საწყობში ისყიდება ყოველ გვარი ქართული წიგნი და სახელმძღვანელოები. ვინც ქალაქს გარედ წიგნს ან სახელმძღვანელოს დაიბარებს, დაუყოვნებლივ გაეგზავნება, მხოლოდ ფოსტის ხარჯი-კი მყიდველმა უნდა გადაიხადოს. კანცელარია და წიგნთ-საწყობი ღია იქნება გარდა კვირა-უქმეებისა დილის 9 საათიდა საღამოს 8 საათამდე. ვისაც კანცელარიასთან, ან წიგნის-საწყობთან რაიმე საქმე ექმნება, ამ ადრესით უნდა მოჰმართონ: Тифлисъ. Въ канцелярію (ან книжный складъ) Общества распространенія грамотности Дворцовая ул., Караванъ-Сарай Земел. Банка, №№ 109 и 110. (50—12)

Доз. цен. Тиф., 28 марта 1888 г. Типографія А. А. Михельсона, Гол. Проспектъ въ д. Читахова. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე